# დეპუტატ ს. ტ. რიგვავას მოხსენება

(დასასრული)

მკურნალობის ბუნებრივი ფაქტორების როლი უდიდესად დიდია.

სწორედ ამ გარემოებამ გვაიძულა შეგვესწავლა რესპუბლიკაში კურორტების მდგომარეობისა და მათი შემდგომი განვითარების საკითხი. საკითხის განხილვამ დაგვანახა, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგად ბევრ სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში გაიზარდა საწოლების რაოდენობა, მწყობრში ჩადგა ახალი სამკურნალო დაწესებულებები.

სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ახალი სამკურნალო მინერალური წყაროების გამოსავლინებლად.

ამავე დროს საკურორტო ქსელის განვითარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა. როგორც კომისიამ დაასკვნა, საკურორტო დაწესებულებების განვითარების ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს.

1976 წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემი ბევრი ობიექტის მშენებლობა (სანატორიუმები „მთის ხეობა" ბორჯომში, „მიუსერა" გუდაუთაში, ნაბეღლავის სანატორიუმი) საფრთხეშია იმის გამო, რომ ამ დანიშნულებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებები საკმარისი არ არის.

სრულებით არ ვითარდება დამაკმაყოფილებლად ბავშვთა სანატორიუმების ქსელი. არ მოგვეპოვება კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის დაავადებათა და ნაღვლის ბუშტის სამკურნალო სპეციალიზებული ბავშვთა სანატორიუმები.

ორგანიზებული საკურორტო ქსელის ნელი განვითარება ხელს უწყობს კლიმატურ-ბალნეოლოგიური ფაქტორების უკონტროლოდ გამოყენების შემთხვევების ზრდას. უმდიდრესი ლანდშაფტი და კლიმატური პირობები, მინერალური წყლები, რომლითაც მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა, მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული. მსოფლიოში ცნობილი სამკურნალო წყაროები — ბორჯომი და წყალტუბოც კი მთლიანად ათვისებული არ არის. ანალოგიური მდგომარეობაა რიწა-ავადჰარის ტერიტორიაზე არსებული სამკურნალო წყლების გამოყენების საქმეშიც.

ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი დისპროპორციაა კურორტების გამტარუნარიანობის შესაძლებლობებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, კომუნალური მეურნეობის განვითარებას შორის.

კურორტებზე ჩამორჩება წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის კომუნიკაციების მშენებლობის ტემპი, რაც ჯანმრთელობის კერების ნორმალურ ექსპლოატაციას აძნელებს და კურორტების სანიტარიულ მდგომარეობას აუარესებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და აუცილებელი მედიკამენტებით კურორტების უზრუნველყოფის საქმეში. ზოგიერთ ჯანმრთელობის კერას ისეთი უბრალო აპარატურაც კი აკლია, როგორიც არის სისხლის წნევის საზომები, წყლის თერმომეტრები და სხვ.

ზოგიერთი კურორტი დაკომპლექტებული არ არის სამედიცინო პერსონალით. მაგალითად, კურორტ წყალტუბოს 30 ექიმი აკლია.

სესიისათვის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩვენ დავინტერესდით, თუ რა რეაგირება მოახდინეს უწყებებმა და დაწესებულებებმა მუდმივი კომისიის რეკომენდაციებზე ამ საკითხის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილიდან დაიძრა ზოგი საქმე, რომლის გამოსწორება ამ მოკლე ხანში შეიძლებოდა; თბილისის ზღვაზე 1973 წელს და შოვში 1971 წელს შეჩერებული დასასვენებელი სახლების მშენებლობა განახლდა, განხორციელდა ღონისძიებები აუცილებელი სამედიცინო აპარატურით კურორტების უზრუნველსაყოფად, სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სანატორიუმებში განაწილდა, ყოველ ღონეს ვხმარობთ კურორტების ხილ-ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებისათვის. ზოგი რამ საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლადაც გაკეთდა. მაგრამ ყოველივე ჩამოთვლილი წვეთია ზღვაში იმ დიდ საკითხებთან შედარებით, რაც გასაკეთებელია, რათა უდიდესი ბუნებრივი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამიტომ გვინდა ამ მაღალი ტრიბუნიდან მოვუწოდოთ ყველას, ვის ხელშიც არის ჩვენი უდიდესი სიმდიდრე — 5 ათასამდე მინერალური წყარო, შავი ზღვის დიდებული სანაპიროები, მთის კლიმატური კურორტები — ხალხის სამსახურში ჩააყენოს ისინი.

დადგა დრო, რომ სამკურნალო დანიშნულებით უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ რესპუბლიკის მთიანი ადგილები. დღეს სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება, რომ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა ავადმყოფთა მკურნალობაში უფრო გაბედულად გამოიყენონ ბუნების ფაქტორები, სამეცნიერო კვლევით მუშაობაში მეტი ყურადღება დაუთმონ მინერალური წყლების, კურორტებისა და მცენარეთა სამკურნალო თვისებების შესწავლას, კლიმატურ მკურნალობას.

ცნობილია, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანთა ჯანმრთელობასთან, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და სახალხო მეურნეობის გეგმების წარმატებით შესრულებასთან, ქვეყნის სამხედრო ძლიერებასთან, ყველაფერთან, რაც ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სფეროში შედის, რადგან მხოლოდ ძლიერსა და ჯანმრთელს შეუძლია ყველა მწვერვალის დაპყრობა.

სპორტული ბაზები საშუალებას გვაძლევს ფიზიკურ კულტურაში მასობრივად ჩავაბათ მშრომელები, მოვიპოვოთ სპორტული მიღწევები, მაღალი კლასის სპორტული ბაზების აშენება კი დიდ ხარჯებთან და მასალებთან არის დაკავშირებული. და სამწუხაროდ, ჩვენში ფართოდ გაშლილი საბინაო, სამრეწველო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პირობებში, დიდი მასშტაბით ვერ ხერხდება.

ეს ხარვეზი მარტივი ტიპის ნაგებობებმა უნდა შეავსოს. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სადაც ამ საქმეს სათავეში საბჭოები, კომკავშირი, პროფკავშირი ჩაუდგა, მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა მოწყობა ყველგან მოხერხდა.

კომისიამ შეისწავლა ეს საკითხი და დარწმუნდა, რომ იქ, სადაც ამ საქმის ენთუზიასტები არიან, დიდი საქმეც კეთდება.

მარტივი ტიპის სპორტული ბაზების ქსელი განსაკუთრებით გაფართოვდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში, მაიაკოვსკში, თერჯოლაში, თელავში. ამ საქმეში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს მოსახლეობაც. მაგალითად, თბილისის დიდმის მასივში 32-ე საცხოვრებელ კორპუსთან ფიზიკური კულტურის კოლექტივები შეიქმნა, რომელთა წევრებმაც საკუთარი ძალებით ააშენეს ორი სპორტული მოედანი.

ასეთივე თაოსნობა გამოიჩინეს ქ. გორის სტალინის ქ. № 6 და № 8 კორპუსების მობინადრეებმა. მათ მოაწყვეს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ბილიკები მძლეოსნობისათვის და სხვ. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახლმმართველობებთან მოეწყო 10 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, რაისაბჭოს აღმასკომის სახსრებით შენდება საცურაო აუზი.

მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ წინა წლებში არსებული ბევრი სპორტული მოედანი, დარბაზი, საცურაო აუზი აღარ არსებობს, ანდა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მაგალითად, უმოქმედოდ არის ერთ დროს ცნობილი ჯანმრთელობის სახალხო კლუბი „დილა", „დელისი", და „გაზაფხული" თბილისში, „იმერეთი" და „რიონი" ქუთაისში და სხვ.

საბინაო მშენებლობის გაფართოების პარალელურად საცხოვრებელ უბნებში არ შენდება მარტივი ტიპის სპორტული ბაზები.

სახლმმართველობები, საექსპლოატაციო კანტორები, სასწავლებლები, ფაბრიკა-ქარხნები, ცალკეული წარმოება-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადოდ არ ზრუნავენ მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობების მოსაწყობად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა ახალი სკოლები საექსპლოატაციოდ არ გადასცეს თუ მათ სპორტული დარბაზი არ ექნებათ; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს ვურჩიეთ პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და განათლების ორგანოებთან ერთად მიკრორაიონებში გააფართოოს ღია სპორტული მოედნების ქსელი.

თუმცა რეკომენდაციების მიღებიდან დიდი ხანი არ გასულა, ზოგი რამ გაკეთდა, განახლდა სპორტული კლუბების „დილისა" და „გაზაფხულის" მუშაობა, შეიქმნა ბრიგადები გამორჩენილ სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სპორტის დამსახურებულ მუშაკთა მონაწილეობით, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ადგილებზე პრაქტიკული დახმარება გაუწიონ როგორც მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა მოწყობაში, ასე თვით ღონისძიებათა ჩატარებაში. მაგრამ ეს ძალზე ცოტაა. შედეგზე მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ამ საქმეში ყველა ჩაებმება და რესპუბლიკაში მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მოსაწყობად მასობრივი მოძრაობა გაიშლება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ, უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივ კომისიასთან ერთად გაითვალისწინა, რომ სკკპ XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი გარემოს დაცვის დიდ მნიშვნელობას, და ფართო აქტივისა და უწყებების მონაწილეობით შეისწავლა რესპუბლიკაში სამრეწველო საწარმოთა მიერ ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა. შესწავლილ იქნა რესპუბლიკის ბევრი სამრეწველო, სატრანსპორტო, სასწავლო-სამეურნეო და სხვა დარგების საწარმოო ორგანიზაციების მდგომარეობა. ჯერ კომისიების, შემდეგ კი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად გარემოს დაცვა გაჭუჭყიანებისაგან რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის. მავნე ნივთიერებებისაგან ჰაერის საწმენდი და ნახმარი წყლის საწმენდი მოწყობილობებისა და ნაგებობების მშენებლობა სათანადო მოცულობით არ წარმოებს და ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში გაშლილ საბინაო, საწარმოო და სხვა ობიექტების მშენებლობის ტემპს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. არ სრულდება ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებანი ქ. თბილისის ზოგიერთი საწარმოს ქალაქგარეთ გატანის შესახებ. წლების მანძილზე ჭიანურდება რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნებში გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის საჭირო დანადგარების მოწყობა, არ შესრულებულა რუსთავის ქიმიური ქარხნის აზოტიანი საჭუქებისა და კაპროლაქტამის საამქროების კომუნიკაციათა ჰერმეტიზაციის სამუშაოები. იმის გამო, რომ არ ხორციელდება სათანადო ღონისძიებები, ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ატმოსფეროში მავნე ნივთიერებებს გამოჰყოფს, რომელიც დასახლებულ უბნებში ვრცელდება. ასეთივე მდგომარეობაა ქ. რუსთავშიც.

ავტომანქანების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად ქ. თბილისის მაგისტრალური ქუჩების ჰაერში ნახშირჟანგის და ბენზინის ორთქლის შემცველობამ იმატა. საავტომობილო ტრანსპორტის მეურნეობათა ხელმძღვანელები, სამინისტროები და უწყებები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ ავტომეურნეობიდან ძრავაგაუმართავი მანქანების გამოშვების აღსაკვეთად. შექმნილ მდგომარეობას ხელს უწყობს ავტოპროფილაქტიკური მომსახურების დაბალი დონე.

დროა თბილისში დაუყოვნებლივ განხორციელდეს სატრანსპორტო გენერალური სქემით გათვალისწინებული სამუშაოები.

სრულყოფილად არ ხორციელდება წყალსატევების დაცვის ღონისძიებები. გაჭუჭყიანებულია რესპუბლიკის თითქმის ყველა მდინარე, მათ შორის მტკვარი და რიონი. გაჭუჭყიანების ძირითადი წყაროა სამრეწველო საწარმოები.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ გრძელდება სამრეწველო და სამეურნეო ნამდინარე წყლებით შავი ზღვის სანაპიროს გაჭუჭყიანება მთელი საკურორტო ზოლის გასწვრივ. მოქმედ საწმენდ ნაგებობათა უდიდესი ნაწილი გადატვირთულია და ტექნიკურად გაუმართავია. ამ საქმეში, როგორც ეს კომისიის სხდომაზე აღინიშნა, გარკვეულ როლს ისიც ასრულებს, რომ არ არის ორგანიზაცია, რომელიც საქმის ცოდნით უწევდეს ექსპლოატაციას ამ საწმენდ ნაგებობებს, ახორციელებდეს მათს პროფილაქტიკურ შეკეთებას, ექსპლოატაციისათვის არავინ არ ამზადებს კადრებს. წარმოებათა ხელმძღვანელების დიდი ნაწილი საწმენდ ნაგებობათა მოწყობას და ექსპლოატაციას ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდება.

დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს საწმენდ ნაგებობათა ექსპლოატაცია ხორცისა და რძის მრეწველობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კვების მრეწველობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულ ობიექტებში. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებას საწმენდი ნაგებობები არ გააჩნია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის კომპლექსებსა და ფერმებში ნაკელისა და თხევადი უსუფთაობის შენახვის, გაუვნებლობის, გამოყენების და ამასთან დაკავშირებული გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის საკითხები ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ დასახლებული პუნქტებისა და სამეურნეო ობიექტების ზრდას ჩამორჩება საკანალიზაციო მეურნეობის განვითარების ტემპი. ამ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ სისტემატურად არ სრულდება კანალიზაციისა და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმები. მაგალითად, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1975 წლის გეგმა მხოლოდ 67,8 პროცენტით შეასრულა, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ — 37,9 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — 51 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — 43,7 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ 72,1 პროცენტით. კანალიზაციისა და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობას ჯერ კიდევ ქმედით კონტროლს არ უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო.

იმის გამო, რომ მდინარეების სუფსის, ცხენისწყლისა და რიონის ნაპირებზე განლაგებული სსრ კავშირის თევზის მეურნეობის საწარმოები აჭუჭყიანებენ გარემოს, განსაკუთრებით წყალს, მუდმივმა კომისიამ მრეწველობის კომისიასთან ერთად სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის წინაშე დასვა საკითხი აღნიშნულ საწარმოებში წესრიგის დამყარების შესახებ. ასეთივე წერილი გაეგზავნა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნებში საწმენდ ნაგებობათა მოწყობის თაობაზე.

ვიმედოვნებთ, რომ იმ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ბუნების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხები, სათანადო დასკვნებს გამოიტანენ მათი მისამართით გამოთქმული შენიშვნებიდან, პარტიისა და მთავრობის არაერთგზის მითითებებიდან.

მე მოკლედ მოგახსენეთ ჩვენი მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ. თუმცა გაწეულია დიდი მუშაობა, კომისიას მაინც ბევრი ნაკლი აქვს, მათ შორის მთავარ ნაკლად დავასახელებდი არასაკმარის ორგანიზატორულ მუშაობას დადგენილებათა განხორციელებისათვის. ბევრი ჩვენი რჩევა და რეკომენდაცია არ შესრულებულა, ზოგზე კი საერთოდ არ ყოფილა რეაგირება. გადაწყვეტილი გვაქვს მომავალში მთავარი ყურადღება დავუთმოთ ამ საკითხს — ჩვენი რეკომენდაციების განხორციელების კონტროლს.

კომისიის წევრების დავალებით ნება მომეცით პირობა მივცე საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, რომ ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია ყოველ ღონეს იხმარს, რათა მისთვის დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს.

(ტაში).

# კამათი

## მოხსენების გამო — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის ანგარიში"

### დეპუტატ ლ. ვ. ჯავახიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

მუდმივი კომისიის ანგარიშში, თქვა შემდეგ ორატორმა, მოცემულია მისი იმ საქმიანობის სრული სურათი, რომელიც მიზნად ისახავს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ გაუმჯობესებას.

ასრულებს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის რეკომენდაციებს, გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივმა კომისიამ გარკვეული მუშაობა გასწიეს. რაიონში აშენდა ორი რაიონული და ერთი საუბნო საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სამშობიარო სახლი, დისპანსერები, ამბულატორიები. რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზეა 129 ექიმი. რაიონშია საკავშირო მნიშვნელობის კურორტი ახტალა.

მაგრამ, თქვა ორატორმა, ჩვენში ჯერ კიდევ იგრძნობა სპეციალისტთა ნაკლებობა, განსაკუთრებით სჭირდებათ ისინი სოფლის მცხოვრებლებს. კეთილმოწყობას საჭიროებს კურორტი ახტალაც. უნდა აშენდეს საავადმყოფოს ახალი ტიპობრივი შენობა.

ბევრი რამ კეთდება სოციალური უზრუნველყოფის დარგში. რაიონის 15.700 მცხოვრები სარგებლობს პენსიებით, 296 მრავალშვილიანი დედა დახმარებას იღებს. ქალთა სოციალური და შრომითი პირობების გაუმჯობესების ინტერესებს ემსახურება სკოლამდელ დაწესებულებათა ფართო ქსელი. მაგრამ გაუმჯობესებას საჭიროებს მშრომელი ქალების სამედიცინო მომსახურება. უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადება. ამასთან დაკავშირებით რაიონში საჭიროა აშენდეს სპორტული კომპლექსები, გაფართოვდეს სპორტული კოლექტივების ქსელი.

შემდეგ ორატორი შეეხო გურჯაანელთა შრომითს მიღწევებს. მან თქვა, რომ ვაზისუბნელებმა აიღეს კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის კურსი. მათი დევიზია — სოფლის მეურნეობის თითოეულ დარგს — რენტაბელობის მაღალი დონე.

### დეპუტატ ა. ა. ჭელიშვილის სიტყვა

ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყურადღებით სწავლობს და მოქმედების სახელმძღვანელოდ იყენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თითოეულ რეკომენდაციას, თითოეულ დადგენილებას. მაგრამ იმის გამო, რომ სულ მუდამ გვაკლია მედიცინის მუშაკები, ექიმები, შესაძლებლობა არა გვაქვს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახური სათანადო დონეზე დავაყენოთ.

ჩვენში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: ექიმთა ბრიგადა სამედიცინო შემოწმებას ახდენს სოფლებში, ადგილებზე. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება „ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის დადგენილების შესასრულებლად.

დიდი ყურადღება ეთმობა წარმოებაში ტრავმატიზმის აღკვეთას, ტიპური სპორტული ნაგებობების, სპორტული ბაზების მშენებლობას. ამ თვალსაზრისით, ბევრი რამ გვაქვს საამაყო. მეშახტეთა ქალაქის მშრომელებს ყველა პირობა აქვთ სპორტის განვითარებისათვის: აქ არის სპორტის სასახლე, ორი ფეხბურთის სტადიონი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საცურაო აუზი. სოფლებში აგრეთვე არის სპორტული მოედნები, რომლებიც დეპუტატთა ინიციატივით აშენდა. ბევრი რამ კეთდება ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლადაც.

შემდეგ ორატორი შეეხო წარმატებებს, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში.

ეჭვი არ არის, თქვა დასასრულ ორატორმა, რომ ქალაქის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ თავიანთ წინაშე დასახული ყველა ამოცანა.

(საქინფორმი).

# დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია, რომელმაც მოისმინა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ს. ტ. რიგვავას მოხსენება მუდმივი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ კომისიამ მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც ერთ წელიწადს მოიცავს, კომისიამ დეპუტატების, შესაბამისი სამინისტროების, სპეციალისტებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მონაწილეობით შეისწავლა და განიხილა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების შესახებ, რესპუბლიკის კურორტების მდგომარეობისა და მათი განვითარების პერსპექტივების თაობაზე და მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, მრეწველობის მუდმივ კომისიასთან ერთად, შეისწავლა და ორივე კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილა ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა რესპუბლიკაში და საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად შეიტანა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა კომისიების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და თავისი დადგენილებით რეაგირებისათვის გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

კომისიის რეკომენდაციათა შესაბამისად საქართველოს პროფსაბჭომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული ღონისძიებები გაატარეს ჩვილ ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; ბევრი რამ გაკეთდა საკურორტო სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით და სხვ.

ამასთან ერთად, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიას თავის საქმიანობაში გააჩნია ნაკლოვანებანი; იგი სრულად ვერ იყენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებით მინიჭებულ უფლებებს — კონტროლი გაუწიოს სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის განხორციელების საქმეში. სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული აგრეთვე, თავის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე, კომისიის მუშაობაში აქტიურად არ მონაწილეობს ყველა მისი წევრი. არის შემთხვევები, როდესაც სამინისტროები და უწყებები მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებენ მუდმივი კომისიის რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიას გააძლიეროს დახმარება და კონტროლი შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისადმი მათ მიერ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებების, აგრეთვე მუდმივი კომისიის რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებაზე. სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის რესპუბლიკური და ადგილობრივ ორგანოებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებაში. კომისიის საქმიანობაში ფართოდ ჩაბას უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერები, სპეციალისტები, აქტივი, შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების დროულად განხილვასა და შესრულების საქმეს. ამასთან, მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

## სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობაზე

# ი. ვ. აბაშიძის გამოსვლა

უკვე მეექვსედ ეწყობა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ფორუმი, და, თუმცა ყრილობებს შორის შუალედი არცთუ ისე დიდია, ჩვენ ყოველთვის მოვიჩქაროთ მოსკოვისაკენ, რადგან უკვე დიდი ხანია ჩვენს საარსებო მოთხოვნილებად გადაიქცა ახალი შეხვედრები მეგობრებთან, შემოქმედებითი გეგმების ფართო გაზიარება.

მას შემდეგ, რაც მოსკოვი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი გახდა და აქ დამკვიდრდა კომუნისტური პარტიის — „ჩვენი ეპოქის გონების, პატიოსნებისა და სინდისის" შტაბი, იგი მსოფლიო დედაქალაქად, ნამდვილად ინტერნაციონალურ ქალაქად გადაიქცა.

ქალაქის ინტერნაციონალურობა მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ იქ ბევრი ხალხის წარმომადგენლები ცხოვრობენ. დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების დედაქალაქებშიც ბევრი სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგრამ იქ ადამიანებს უჭირთ ერთმანეთის გაგება, რადგან ურთიერთგაგებისათვის, გარდა ურთიერთობის ერთიანი საშუალებისა, კიდევ საჭიროა შეხედულებათა, აზრთა, მიზანთა ერთიანობა, რწმენისა და მისწრაფებების ერთიანობა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს კი, გვაერთიანებს სწორედ ცხოვრების აზრისა და მიზნის საერთო გაგება.

თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ერების ურთიერთგაგებისა და ერთიანობისათვის საკმარისია მხოლოდ საერთო ენა, ოქტომბრის რევოლუციამდეც ხალხები, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ, ურთიერთობისათვის რუსული ენით სარგებლობდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ ცარიზმი ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა ამ ხალხთა ეროვნულ მიზნებს, მათ შორის სრულიადაც არ იყო ერთსულოვნება — პირიქით, თვითმპყრობელობის მიერ გაღვივებული საშინელი ეროვნული შუღლი მძვინვარებდა.

შეიძლებოდა ცარიზმის შავბნელ წლებში ვინმეს აზრად მოსვლოდა აღემართა მოსკოვში ჩაგრულ ხალხთა გენიალური პოეტების რუსთაველისა და შევჩენკოს ძეგლები?!

ანდა დასავლეთის დედაქალაქებში გინახავთ აზიისა და აფრიკის ხალხთა დიდი შვილების ძეგლები?!

ის ფაქტი, რომ მოსკოვში აღმართულია შევჩენკოს და რუსთაველის ძეგლები, ჩვენი დროის თვალსაჩინო ნიშანია, ლენინიზმის გამარჯვებაა, ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის გამარჯვებაა, რუსი ხალხისათვის დამახასიათებელი სამართლიანობის ოდინდელი გრძნობის, დიდსულოვნების დიდებული გამოვლინებაა.

უდიდესი მადლიერების გრძნობით შევახსენებთ იმ არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტსაც, რომ მოსკოვში რუსთაველის ძეგლი პირადად ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გახსნა.

მოსკოვი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების მიმზიდველი ცენტრია, ის ადგილია, სადაც თავს იყრის ყოველივე საუკეთესო, რაც ჩვენს ეროვნულ ლიტერატურებს შეუქმნია, იგი არის ქალაქი, სადაც რუსული ენის მეშვეობით ეს საუკეთესო ნაწარმოებები ხელმისაწვდომი ხდება საბჭოელი და საზღვარგარეთელი მკითხველისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენი პლანეტის მარტო პოლიტიკური რუკა არ შეუცვლია. მას შემდეგ, რაც ლენინის დეკრეტებმა ერების თანასწორუფლებიანობა გამოაცხადა და უფლებები გაუთანაბრა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ენას, მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურების რუკას რამდენიმე ათეული თეთრი ლაქა მოსცილდა; გაჩნდა ისეთ ხალხთა სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ლიტერატურები, რომლებსაც ოქტომბრამდე საკუთარი დამწერლობაც კი არ ჰქონიათ.

ჩვენი ქვეყნის მცირერიცხოვან ხალხთა შემოქმედებითმა პრაქტიკამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სწორია მარქსისტული დებულება, რომელიც გორკის მოხსენებაში გაისმა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის ტრიბუნიდან. ეს დებულება ამბობს: ტალანტების რაოდენობა დამოკიდებული არ არის ხალხის რაოდენობაზე და რომ ერის მნიშვნელობას კაცობრიობის ისტორიაში განსაზღვრავს ის წვლილი, რომელიც მას შეაქვს მსოფლიო კულტურაში.

დიდმა ოქტომბერმა გაკაფა ახალი, ადრე უცნობი ლიტერატურების განვითარების გზა და ახალი შესაძლებლობებით გაამდიდრა კიდეც უკვე დიდი ტრადიციების მქონე ლიტერატურები.

რევოლუციამდე ქართული ლიტერატურის — მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, არსებობის თხუთმეტი საუკუნის მქონე ლიტერატურის მკითხველთა წრე მხოლოდ თვით ქართველებით და ქართული ენის მცირერიცხოვანი სპეციალისტებით შემოიფარგლებოდა.

მთარგმნელობითი მუშაობის გაშლის შესახებ გორკის ინიციატივის შედეგად, რომელსაც ჩვენს პირობებში დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა და გაქანება მიეცა, მკითხველთა აუდიტორია არნახულად გაფართოვდა. გამოჩენილი რუსი პოეტების ნიკოლოზ ტიხონოვის, ბორის პასტერნაკის, პავლე ანტოკოლსკის, ნიკოლოზ ზაბოლოცკისა და სხვების ბრწყინვალე თარგმანების მეოხებით ქართული პოეზიის ნიმუშებმა მაშინვე მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება და ქართულ ლიტერატურას შეუქმნა მაღალგანვითარებული, თავისთავადი ლიტერატურის რეპუტაცია. ჩვენ ისევ და ისევ ღრმა და გულწრფელ მადლობას ვუძღვნით რუს პოეტებს და მუდამ აღვაფრთოვანებს კეთილშობილური როლი, რასაც რუსული ენა ასრულებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა სულიერ ურთიერთგამდიდრებაში, ჩვენი ლიტერატურების დაახლოებაში, მათი ურთიერთობის განმტკიცებაში.

საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის გამოცდილება დიდი ხანია კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მთელი მსოფლიოს ლიტერატურების განვითარებაზე. მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენმა ლიტერატურამ კვლავაც განამტკიცოს და გააფართოოს თავისი გავლენა, უფრო ხშირად უნდა გავიხსენოთ მწერალთა პირველ ყრილობაზე წარმოთქმული და შემდეგ მწერალთა ბევრი თაობის მიერ განმეორებული მოსწრებული ფრაზა:

„პარტიამ და მთავრობამ ყველაფერი მისცეს მწერალს, მხოლოდ ერთი რამ წაართვეს — ცუდად წერის უფლება".

ყველაფერში არსებობს ხარისხის მსოფლიო სტანდარტები. ლიტერატურაც გამონაკლისი არ არის, და კრიტიკამ არ უნდა წამოსწიოს და ბაირაღად არ უნდა აქციოს ნაწარმოებები, რომლებიც არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, ნაწარმოებები, რომლებშიც არ არის გათვალისწინებული XX საუკუნის საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ავტორთა გამოცდილება და მიღწევები.

სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ილაპარაკა რა ჩვენი პარტიის მიერ სამშვიდობო პოლიტიკის უდიდეს მონაპოვარზე, კანონიერი სიამაყის გრძნობით განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა უკვე მეოთხე ათწლეულია მშვიდობიანად ცხოვრობს. მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა მწერლებიც მაქსიმალურად იყენებენ მშვიდობის ამ უდიდეს სიკეთეს.

ხალხი, პარტია სავსებით ენდობიან ჩვენს ლიტერატურას, სჯერათ მისი, ყოველნაირად უწყობენ ხელს მის მიღწევებს.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნომ საანგარიშო პერიოდში ძალიან ბევრი რამ გააკეთა ლიტერატურისა და ჩვენი ხალხის ცხოვრების დაახლოებისათვის.

განვლილი ხუთი წელი ქართულ ლიტერატურაში უჩვეულო აღმავლობის წლებია. ეს აღმავლობა შედეგია რესპუბლიკაში მომხდარი ღრმა ცვლილებებისა, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს შეეხო.

საქართველოს მწერლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმ მუშაობაში, რომელიც გაიშალა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის, რესპუბლიკაში მორალური და პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ცხოვრების ლენინური ნორმების განმტკიცებისათვის.

ფართო პოპულარობა მოიპოვა და მხურვალე განხილვის საგნად იქცა კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ნოდარ დუმბაძის, გურამ ფანჯიკიძის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების, ჭაბუა ამირეჯიბის, რევაზ ჯაფარიძის, არჩილ სულაკაურის, ედიშერ ყიფიანის, ლადო მრელაშვილის, ოტია იოსელიანის, დავით კვიცარიძის, რევაზ ინანიშვილის, გიორგი ციციშვილის მოთხრობები და რომანები. ეს ნაწარმოებები უმთავრესად მორალისა და ზნეობის პრობლემებს, შრომის ჰეროიკას, შრომისადმი ახალ კომუნისტურ დამოკიდებულებას ეძღვნება.

დიდი ლიტერატურა — ადამიანის სულის სიღრმეში ეს ჩაწვდომა, მწერლის მასშტაბურობა იმდენად არაფრით ვლინდება, როგორც ზნეობისა და მორალის პრობლემების დაყენებასა და გადაწყვეტით.

„უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თემა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, — რომელსაც ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ბევრი ძალღონე მოახმარეს. ეს არის მორალის, ზნეობრივი ძიების თემა... ჩვენი მწერლების, მხატვრების დამსახურება ის არის, რომ ისინი ცდილობენ მხარი დაუჭირონ ადამიანის საუკეთესო თვისებებს, მის პრინციპულობას, პატიოსნებას, გრძნობების სიღრმეს და ამასთან ხელმძღვანელობენ ჩვენი კომუნისტური ზნეობის ურყევი პრინციპებით".

მორალის პრობლემების სწორედ ასეთი გაშუქებით გამოირჩევა საბჭოთა ლიტერატურა თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურისაგან, რომელიც უმთავრესად ამორალიზმსა და სულიერ მარაზმს ქადაგებს.

დასავლეთის პოეზიისაგან განსხვავებით, რომელიც სულ უფრო შორდება სინამდვილეს, საბჭოთა ლიტერატურაში კვლავ გამოიცოცხლდა სამოქალაქო ლირიკა. ქართული პოეზია პუბლიცისტური მგზნებარებით ასახავს თანამედროვეობის პრობლემებს. საქართველოს პოეტებმა კვლავ ააღორძინეს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, გალაკტიონ ტაბიძის ტრადიციები.

სანდრო შანშიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, იოსებ ნონეშვილი, რევაზ მარგიანი, ხუტა ბერულავა, ოთარ ჭელიძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ანა კალანდაძე, ნაზი კილასონია, მედეა კახიძე, ფრიდონ ხალვაში, ტარიელ ჭანტურია, მიხეილ ქვლივიძე, ხუტა გაგუა, ბესიკ ხარანაული და სხვები შთაგონებით უმღერიან ჩვენი სამშობლოს დღევანდელ დღეს, ჩვენი ხალხის შრომით აღმავლობას.

სერიით — „ქართველი მწერლები — ხუთწლედის მხარდამხარ" — ჩვენი პოეტებისა და პროზაიკოსების რამდენიმე ათეული წიგნი გამოვიდა. ეს წიგნები ჩვენი რესპუბლიკის მშენებელთა და მაღაროელთა, მეჩაიეთა და მევენახეთა შრომითი თავდადების შედეგად უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილებებით არის დაწერილი.

ამ ნაწარმოებთაგან საუკეთესონი თარგმნილია რუსულ ენაზე და გამოვიდა ცალკე კრებულებად „ერთსულოვნების" სათაურით.

პუბლიცისტიკისა და ბიოგრაფიული რომანის ჟანრში ნაყოფიერად მუშაობენ გიორგი ნატროშვილი, სერგი ჭილაია, ვახტანგ ჭელიძე, ელგუჯა მაღრაძე.

ჩვენ გვახარებს აფხაზური და ოსური ლიტერატურების ზრდა და დავაჟკაცება. უკანასკნელი წლების მანძილზე ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით გაამდიდრეს მშობლიური ლიტერატურა აფხაზეთის სახალხო პოეტმა ბაგრატ შინკუბამ, ივანე პაპასკირმა, ივანე თარბამ. თავი გაგვაცნო ახალმა ნიჭიერმა თაობამ ალექსი გოგუას, ჯუმა ახუბას და სხვა ახალგაზრდა მწერლების სახით, რომლებსაც საყოველთაო აღიარება ხვდათ.

სამხრეთ ოსეთში სიტყვის ცნობილ ოსტატებთან ნაფი ჯუსოითთან, კოსტა მარგიევთან, გაფეზთან, რევაზ ასაევთან, ის. კოჩიევთან ერთად ნაყოფიერად მუშაობს ნიჭიერი ახალგაზრდობის მთელი პლეადა, რაც ოსური ლიტერატურის შემდგომი მიღწევების კარგი საწინდარია.

მინდა შევეხო თარგმანის პრობლემებს. დიდი ხანია ვჩივით, რომ არა გვყავს მოძმე ხალხთა ენებიდან კვალიფიციური მთარგმნელები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან ორიგინალის ენას. ლიტერატურული ინსტიტუტების, სხვადასხვა უმაღლესი ლიტერატურის კურსებიც დიდი ხანია ამზადებენ ამ კადრებს, მაგრამ აი უკვე რამდენი ხანია შედეგები არ ჩანს. ამასობაში კი პწკარედების საშუალებით სხვადასხვა ენიდან წარმატებით თარგმნიან აღიარებული პოეტები. და რაც უფრო ნიჭიერი არიან ესენი პოეტები, მით უფრო მეტი პატივისცემით ეკიდებიან ისინი დედანს, მით უფრო მნიშვნელოვანია მათი შრომა.

ვფიქრობ, რომ მომავალშიც უნდა მოვიწვიოთ კარგი პოეტები, რომლებმაც არ იციან რომელიმე ჩვენი ხალხის ენა, მოვამარაგოთ ისინი კარგი პწკარედებით, გავაცნოთ მათ სათარგმნი ავტორის ხალხის ცხოვრება და კულტურა და ამით უზრუნველვყოთ თარგმანის ხარისხი. ხოლო რაც შეეხება ახალგაზრდა მთარგმნელების აღზრდას, უნდა განვაგრძოთ ძიება — იქნებ რომელიმე დამწყებმა პოეტმა გამოთქვას ერთ-ერთი მოძმე ხალხის ენის შესწავლის სურვილი.

ასეთივე პრობლემები დგას იმათ წინაშეც, ვინც პროზას თარგმნის, იქნებ, უფრო რთულიც, ვიდრე პოეზიის მთარგმნელთა წინაშე დგას.

ქართველი ხალხი მშობლიური პარტიის, ერთა იმ დიადი თანამეგობრობის ერთგულია, რომლის მეოხებითაც საქართველოში შეიქმნა მისი ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავების პირობები.

მაგრამ ქართველი ხალხის წარმატებები ყველას როდი ახარებს. უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ დასავლეთის ის ხმები და გაზეთები, რომლებიც ყოველდღე წამლავენ საზოგადოებრივ აზრს.

საქართველოს ეძღვნება ამერიკის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტის ამას წინათ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური სტატია. ეს სტატია, რომელშიც დაკნინებულია ჩვენი ხალხის სახელოვანი ისტორია და შეურაცხყოფილია მისი ეროვნული ღირსება, პროვოკაციულად არის დასათაურებული „საქართველოში აღარ მღერიან".

გარდა იმისა, რომ ავტორი ისტორიისა და ეთნოგრაფიის სრულ უცოდინარობას იჩენს, მასში აშკარად ჩანს სურვილი ერთმანეთს წაჰკიდოს ჩვენი ქვეყნის ხალხები, მათ შორის დათესოს უნდობლობა და შუღლი. იმათთვის, ვინც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში ყოფილა, ცხადია, თუ რა ხელოვნური და განწირულია ამგვარი პროვოკაციები.

უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში სწორად არის ასახული, ჩვენი ადამიანების კარგი განწყობილება, ქართველი ხალხის ფიქრები და გრძნობები, მისი მისწრაფება — ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობაში.

ჩვენი ადამიანების მამაცური შრომის ნაყოფი ფრთებს ასხამს მათს სასიხარულო სიმღერას, უხმობს ახალი მწვერვალებისაკენ, და ამაოდ ოცნებობენ ისინი, ვინც ჩვენზე „ზრუნავს" ოკეანის გაღმა — ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი, არასოდეს არ შეწყვეტს სიმღერას!

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს. ოპტიმიზმით აღსავსე, იმედითა და რწმენით ჟღერს მისი შეხმატკბილებული სიმღერა ხალხთა ლენინური მეგობრობის, ჰუმანიზმის, მშვიდობისა და პროგრესის სადიდებლად. ჩვენ შთაგვაგონებს ახალ მიღწევებს ჩვენი შრომის ის უაღრესად გულითადი და დიდი შეფასება, რომელიც ასე გულწრფელად გაისმა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან.

საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ რწმენა, რომ შეიქმნება ჩვენი ეპოქის ღირსი ჩინებული ნაწარმოებები საბჭოთა ხალხის უკვდავი მამაცობისა და გმირობის სადიდებლად!

(ტაში).

# მსოფლიოს ამბები



ეგვიპტე

## საგადასახადო ხვრელები მდიდრებისათვის

ქაირო, 24 ივნისი. (საკდესი). [illegible]

## ანტიჰუმანური პოზიცია

[illegible]

## თანამშრომლობის სულისკვეთებით

[illegible]

ლიბანი

## პროვოკაციული აქციები

[illegible] და მეორე მხრივ, მემარჯვენე პარტიების შეიარაღებულ შენაერთებს შორის. მემარჯვენე ძალებმა ბარბაროსულად დაუშინეს მათ ცეცხლი და ტანკების მხარდაჭერით რამდენჯერმე შეეცადნენ ხელთ ეგდოთ პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი ჯისრ ალ-ბაშა, ტელ-ზაატარი და ნაბაა.

ახლადარჩეული ლიბანის პრეზიდენტი ი. სარკისი ცდილობს შეაჩეროს ქვეყანაში სამოქალაქო მოქმედება, მაგრამ მთელ მის მეცადინეობას წინააღმდეგობას უწევენ მემარჯვენე პარტიები, რომლებსაც არ სურთ დაიცვან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ ლიბანში ჩამოსული არაბული ქვეყნების უშიშროების ძალების კონტინგენტს, რომელიც ლიბიისა და სირიის არმიის ქვეგანაყოფებისაგან შედგება, ამჟამად პოზიციები უკავია ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტისა და საიდისაკენ მიმავალი გზის რაიონში. ლიბანის დედაქალაქის ბლოკადა ნაწილობრივ მოიხსნა და იქ მიიტანეს სურსათისა და საწვავის პირველი პარტიები.

გუშინ ლიბანიდან დამასკოში დაბრუნდნენ სირიის ჯარების პირველი ქვეგანაყოფები, რომლებსაც ბეირუთის აეროპორტის რაიონში ეკავათ პოზიციები, სირიის ჯარების თანდათან გაყვანა გათვალისწინებულია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით, რომელიც ამ დღეებში დაიდო დამასკოში ლიბიის პრემიერ-მინისტრის ა. ჯელუდის შუამდგომლობით. ბეირუთის აეროპორტის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ უახლოეს დროში შეძლებს მუშაობის განახლებას.

არგენტინა

## პოლიტიკური უფლებები აჰყარეს

ბუენოს-აირესი, 24 ივნისი. (საკდესი). არგენტინის ყოფილ პრეზიდენტს მარია ესტელა მარტინეს დე პერონსა და 24 მარტს დამხობილი მთავრობის 34 ყოფილ მინისტრს, გუბერნატორსა და მაღალი თანამდებობის მოღვაწეს პოლიტიკური უფლებები აჰყარეს. ისინი შეიარაღებული ძალების მთავრობამ დამნაშავედ ცნო ეროვნული ინტერესების შელახვაში.

## რასისტთა ზრახვები

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). [illegible] კის რესპუბლიკის მიერ ოკუპირებულ ნამიბიის ტერიტორიაზე კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განმახორციელებელი სპეციალური კომიტეტის მოხსენება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოქვეყნდა.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გამალებით ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს ნამიბიაში და ეს ტერიტორია გადააქცია პლაცდარმად აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიისა და სამხრეთ აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ჩახშობისათვის.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, აღნიშნულია მოხსენებაში, ამასწინათ გამოაცხადა, რომ განზრახულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების მნიშვნელოვნად გაძლიერება. სამხრეთ აფრიკელი სტრატეგები, ნათქვამია დოკუმენტში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სამხედრო-საჰაერო ძალების გაძლიერებას, რომლებსაც, მათი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვთ „ოპერაციებში პარტიზანების წინააღმდეგ“. ამ მიზნით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი გამალებით იძენენ იარაღს დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებსა და ისრაელში.



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ქვეყანაში გამეფებული რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა ამასწინათ იოჰანესბურგის მახლობლად — სოუეტოში. აფრიკული მოსახლეობის უზარმაზარი გეტოს ათი ათასი მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში ლოზუნგებით, რომლებითაც მოითხოვდნენ რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის რეჟიმის ლიკვიდაციას.

დემონსტრაციის ჩასახშობად რასისტულმა ხელისუფლებმა გამოიყვანეს სპეციალური სამხედრო ნაწილები, საარმიო ვერტმფრენები, ჯავშნიანი მანქანები, კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციელთა ქვეგანაყოფები. სისხლიანი შეტაკების შედეგად დაიღუპა ათობით მშვიდობიანი მცხოვრები, ასობით კაცი მძიმედ დაიჭრა.

ხურათზე: რასისტთა მხეცობის მსხვერპლი.

აპ-სპპდესის ტელეფოტო.

აშშ

## შეკოწიწებული ბრალდება

ნიუ-იორკი. (საკდესი). ფედერალურ ხელისუფლებს დიდი ხანია ჩაფიქრებული აქვთ გაუსწორდნენ „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის“ ორგანიზაციის აქტივისტებს, რომლებიც იბრძვიან ამერიკის მკვიდრი მცხოვრებლების ინტერესებისათვის. ამ მიზნით გამოძიების ფედერალური ბიუროს დახმარებით აწყობენ მორიგ სასამართლო ფარსს ქალაქ სიდარ-რაპიდსში (აიოვის შტატი) პროცესზე ეგრეთ წოდებული „გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტთა განზრახ მკვლელობის“ საქმის გამო.

ამბები, რომლებიც ამ „საქმეს“ დაედო საფუძვლად, მოხდა შარშან ივნისში ინდიელთა რეზერვაცია პაინ-რიჯში (სამხრეთ დაკოტის შტატი). გამოძიების ფედერალური ბიუროს შეიარაღებული აგენტები შეიჭრნენ შენობაში, სადაც მიმდინარეობდა „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის თათბირი. ახალგაზრდა ინდიელი აქტივისტი ჯო კილრაიტი, რომელმაც სცადა არ შეეშვა ისინი, იქვე მოკლეს. პროვოკაციულად გამოწვეული სროლის დროს დაიღუპა გამოძიების ფედერალური ბიუროს ორი აგენტიც.

რამდენიმე თვის შემდეგ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააპატიმრა ორი ინდიელი აქტივისტი დ. ბატლერი და რ. რუბიდო. მათ ბრალდებად წაუყენეს „განზრახ მკვლელობა“. განსასჯელთა ადვოკატმა, თვალსაჩინო ამერიკელმა იურისტმა უ. კანსტლერმა აღნიშნა, რომ სრულიად დაუსაბუთებელია ასეთი ბრალდება და მისი მოხსნა მოითხოვა.

ბრალდების მთავარმა მოწმემ ვინმე უ. დრეიპერმა ჯვარედინი დაკითხვის დროს აღიარა, რომ იგი არ ყოფილა გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტების მიერ პროვოკაციულად მოწყობილი სროლის ადგილას, ჩვენების მიცემა კი მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გამოძიების ფედერალურ ბიუროში რამდენჯერმე დაემუქრნენ, რომ მკვლელობას მას მიაწერდნენ, თუ საიდუმლო პოლიციასთან არ ითანამშრომლებდა.

# ბათუმის დიდი ეკრანი

### დღეს იხსნება მეორე რესპუბლიკური კინოფესტივალი

ქართული კინოფილმების მეორე რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც 25-28 ივნისს ეწყობა ბათუმში, დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, პირველ ფესტივალს (1974 წლის ზაფხულში) ქუთაისმა უმასპინძლა. ახლა კი მის მოლოდინშია ჩვენი ქალაქი.

კინოფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება დღეს, 25 ივნისს, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში, საკონკურსო ფილმები ნაჩვენები იქნება კინოთეატრ „თბილისში“, შემდეგ კი ქალაქის სხვა კინოთეატრებში. ზოგიერთ ფილმს სოფლების მშრომელებიც ნახავენ. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილია ასზე მეტი მხატვრული, სატელევიზიო, მულტიპლიკაციური, სამეცნიერო-პოპულარული, დოკუმენტური და ქრონიკალური ფილმი. ამ ფილმების უმეტესობა ჯერ არ ყოფილა დემონსტრირებული და მათი პირველი მაყურებლები სწორედ ბათუმელები იქნებიან.

მხატვრული ფილმებიდან საფესტივალო ეკრანზე ნაჩვენები იქნება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ცხრა ახალი ნაწარმოები: რეჟისორ თ. გოძელაურის „კაპიტნები“ (რომელიც ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსანტთა ცხოვრებას ასახავს), ო. აბესაძის „ანარეკლი“, ო. გვასალიას „მშვიდობიანი დღეები“, დ. რონდელის „საჰაერო ხიდი“, თ. ფალჟანდიშვილის „მოხეტიალე რაინდები“, გ. მგელაძის „არ დაიჯერო, რომ აღარ ვარ“, ლ. ღოღობერიძის მიუზიკლი „აურზაური სალხინეთში“, ორი კინოალმანახი „დაუპატიჟებელი სტუმრები“ და „სიყვარულო, ძალსა შენსა“. ვნახავთ გ. კალატოზიშვილის სატელევიზიო ფილმს „კავკასიის ტყვე“ (ლევ ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით) და დრამატურგ ალ. ჩხაიძის გახმაურებული პიესის „ხიდის“ მიხედვით დადგმულ სატელევიზიო ფილმს „საქმე სასამართლოს გადაეცემა“ (დამდგმელი რეჟისორი ვ. კვაჭაძე).

კონკურსში მონაწილეობს აგრეთვე ს. დოლიძის ფილმი ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე — „გაქცევა გათენებისას“, ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით შექმნილი „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ (რეჟისორი ნ. მანაგაძე), ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი“, ნელი ნენოვას „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“ და სხვა სურათები.

ფესტივალში მონაწილეობისათვის ბათუმს ეწვივნენ ქართული კინოს გამოჩენილი ოსტატები: რეჟისორები, სცენარისტები, ოპერატორები, მსახიობები, მხატვრები, კრიტიკოსები, ისინი შეხვდებიან მაყურებელს, ფაბრიკებისა და ქარხნების, საკოლმეურნეო სოფლების მშრომელებს.

კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში, ქართული კინოს გამოჩენილი მოღვაწეები და აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები არიან, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია კინოფესტივალის ორგანიზებულად, მაღალიდეურ და მხატვრულ დონეზე მოსაწყობად.

დაწესებულია თხუთმეტი პრიზი ფესტივალზე ნაჩვენები საუკეთესო ფილმებისათვის, საუკეთესო სცენარისათვის, რეჟისორული, ოპერატორული და მხატვრული ნამუშევრებისათვის, ქალისა და კაცის როლების საუკეთესო შემსრულებლებისათვის.

შექმნილია ფესტივალის ჟიური და კომისიები. მხატვრული ფილმების ჟიურის თავმჯდომარეა ცნობილი კინორეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. სანიშვილი.

გვჯერა, რომ ბათუმის კინოფესტივალი სარგებლობას მოუტანს ქართველ კინემატოგრაფისტებსაც. მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებთან უშუალო შეხვედრები, მათი ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის გაცნობა ახალ პათოსს, ძალასა და ენერგიას შემატებს ჩვენს სახელოვან კინემატოგრაფისტებს.

ა. ტაკიძე,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.





სურათებზე: ფესტივალზე წარდგენილი რამდენიმე ფილმის კადრები, ზემოდან — „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „აურზაური სალხინეთში“, „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, „კაპიტნები“.





საკდესის ცნობა

## ორბიტაზეა „სალუტ-5“

კოსმოსური სივრცის კვლევის შესაბამისად 1976 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტ-5“.

„სალუტ-5“ სადგურის გაშვების მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების მოწყობა, აგრეთვე ორბიტული სადგურების კონსტრუქციების, საბორტო სისტემებისა და აპარატურის შემდგომი დამუშავება.

სადგური „სალუტ-5“ გაყვანილია დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 260 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 219 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 89 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ფრენას თვალს ადევნებენ, ტელემეტრიულ ინფორმაციას ღებენ და სადგურს მართავენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გემები „კოსმონავტი იური გაგარინი“, „აკადემიკოსი სერგეი კოროლიოვი“, „მორჟოვეცი“ და „ბეჟიცა“, რომლებიც ატლანტის ოკეანის აკვატორიუმში იმყოფებიან.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

## ქუთაისი — ლენინაკანი

### ეს წიგნები ორი ქალაქის მეგობრობაზე მოგვითხრობს

ორი დამმობილებული ქალაქის — ქუთაისისა და ლენინაკანის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას ოცდახუთი წლის ისტორია აქვს. ამ ამბავს ეძღვნება „მერნის“ მიერ ქართულ და სომხურ ენებზე გამოცემული ბენიკ სეირანიანის და ვანო ურჯუმელაშვილის წიგნი: „ქუთაისი — ლენინაკანი“.

წიგნში დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ნ. რუხაძისა და სომხეთის კომპარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის რ. არზუმანიანის შესავალი წერილები, ვანო ურჯუმელაშვილის ნარკვევი „ქუთაისი“ და ბენიკ სეირანიანის ნარკვევი „ლენინაკანი“.

## ამინდი

გუშინ 13 საათზე შავი ზღვისპირა რაიონებში წვიმდა, დაბლობ რაიონებში 20-22, მთებში 14-19 გრადუსი სითბო იყო. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებშიც წვიმდა, დაბლობ რაიონებში 19-20, მთებში 16-19 გრადუსი სითბო აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 21 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 15-20 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 21-26, მთებში 14-19 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 24-26 გრადუსი სითბო.

## ახალი ამბულატორია-საავადმყოფო ტაიგაში

ნია-გრუზინსკაია. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დაბა ნია-გრუზინსკაიაში, რომელსაც შორეულ ციმბირში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელი „საქმშენბამი“ აშენებს, აიგო ერთსართულიანი ლამაზი სახლი.

ახალ შენობაში ზეიმით გაიხსნა დაბის ამბულატორია-საავადმყოფო, რომელიც დღემდე პატარა ვაგონში იყო მოთავსებული.

ამბულატორია-საავადმყოფოში არის რვა ნათელი ოთახი — მისაღები, საოპერაციო, შესახვევი, სათაბაშირე და სხვ. ორ პალატაში დადგმულია საწოლები. აქვე არის ხელოვნური სუნთქვის აპარატი, რომელიც ავადმყოფების ქანგბადით სუნთქვას უზრუნველყოფს.

ამ დღეებში დაბის მშენებელ მუშას ე. აიწურაძეს გაუკეთეს ოპერაცია. ეს პირველი ოპერაციაა ნია-გრუზინსკაიას ისტორიაში. იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ქირურგმა ს. ქემოკლიძემ გააკეთა, რომელიც დაბაში მივლინებით იმყოფებოდა.

მომდევნო დღეებში ამბულატორიის გამგემ ქირურგმა თ. ურუშაძემ რამდენიმე ოპერაცია გააკეთა.

ა. დვალიშვილი,
„საქმშენბამის“ უფროსი.

ჭადრაკი

## ორი ლიდერი

როგორც საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი — ოსტატი გ[illegible] მანილადან იუწყება, მონაწილენი დასვენების დღესაც კი საჭადრაკო [illegible] ფებს არ ხილდებიან, ემზადებიან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. სიტუაცია კი შეჯიბრებაზე მეტისმეტად მძაფრია — იწყება სატურნირო „მიტელშპილი“, ამასთან საპრიზო ხამეულისათვის ბრძოლის შესაძლებლობას მონაწილეთა უმეტესობა ინარჩუნებს, მათ შორის არის საბჭოთა ოთხეულიც.

მერვე ტურს წამყვან მონაწილეთა მდგომარეობა არ შეუცვლია. სპასკი ყაიმზე შეუთანხმდა მარიოტის (იტალია), ცეშკოვსკი — გეორგიუს (რუმინეთი), ბალაშოვი — ჰარანდის (ირანი). პოლუგაევსკიმ გადადო პარტია ბრაუნთან (აშშ), ტორემ (ფილიპინები), რომელიც რიბლის (უნგრეთი) ეთამაშებოდა, ამ ტურნირში პირველად მოიგო. შეჯიბრების ლიდერების ჰორტისა (ჩეხოსლოვაკია) და მეკინგის (ბრაზილია) პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ჰორტსა (ჩეხოსლოვაკია) და მეკინგს (ბრაზილია) 5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ბრაუნს (აშშ) — 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ულმანს (გდრ) — 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ოთხი საბჭოთა მონაწილიდან ჯერჯერობით უკეთესი შედეგები აქვთ პოლუგაევსკისა და ცეშკოვსკის — 4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია. სპასკიმ მოაგროვა 4,5 ქულა, ბალაშოვმა — 4 ქულა და ერთი პარტია გადადო.

## შვეიცარიული სისტემით

როსტოვში გადამწყვეტ ფაზაში შედის საკავშირო მასობრივი ტურნირი. სულ ტურნირზე, რომელიც ე. წ. „შვეიცარიული სისტემით“ მიმდინარეობს, 13 ტური გათამაშდება. 8 ტურის შემდეგ წინ არიან ოსტატები გრიგორიანი (მოსკოვი) და პეტროსიანი (ერევანი) — ექვს-ექვსი ქულა.

საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის შესაძლებლობებს ინარჩუნებენ საერთაშორისო ოსტატი გიორგაძე (5,5 ქულა) და დიდოსტატი გურგენიძე (5 ქულა).

64 მონაწილეს შორის ერთადერთი ქალია — საერთაშორისო ოსტატი ნანა ალექსანდრია. მას 8 შეხვედრიდან 3 ქულა აქვს. ალექსანდრიამ სძლია ისეთ ცნობილ მოჭადრაკეებს, როგორიც არიან ლენინგრადის ჩემპიონი ცეიტლინი და დიდოსტატ კორჩნოის სეკუნდანტი — საერთაშორისო ოსტატი ოსნოსი.

## ოქროს მედალი — ზ. მიქაძეს

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ დეჩინში 30 მაისს-19 ივნისს მიმდინარეობდა მეექვსე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ინგლისის, ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეები. ტურნირში ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავდა თბილისელი ოსტატი ზურაბ მიქაძე, რომელმაც 14 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა, ისევე როგორც საერთაშორისო ოსტატებმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონმა ჰ. ბიონმა და ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭადრაკემ ე. მედუნამ. კოეფიციენტების ცხრილის უკეთესი მაჩვენებლებით პირველი ადგილი და ოქროს მედალი მიეკუთვნა ზურაბ მიქაძეს.

ქართველი ოსტატი, როგორც გამარჯვებული, გაისად კვლავ მიწვეულია ამ ტურნირში მონაწილეობისათვის.

ე. მელიქსეთბეგი,
დეჩინის ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილე.

## „სპორტლოტოს“ ტირაჟი

„სპორტლოტო“ — 2 (ავტოსპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 1 (ავიასპორტი), 46 (ჰოკეი), 30 (აფროსნობა), 26 (მოტობოლი);

„სპორტლოტო-2“ — 44 (ფიგურული ციგურაობა), 1 (ავიასპორტი), 4 (ალპინიზმი), 20 (ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 8 (კრივი), 45 (ფეხბურთი).

(საკდესი).

ფეხბურთი

## მინაევის ორი გოლი

ვენაში გაიმართა ავსტრიისა და სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი. ანგარიშით 2:1 (2:1) გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ანგარიში თამაშის მე-7 წუთზე გახსნა მინაევმა, 29-ე წუთზე რინკერმა ნლადგინა წონასწორობა, ხოლო შესვენებამდე 9 წუთით ადრე იმავე მინაევმა კვლავ წინ გაიყვანა ჩვენი გუნდი.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ასტაპოვსკი, კონკოვი, მატვიენკო, ფომენკო, ზვიაგინცევი (რეშკო), საუხა, მინაევი, ონიშჩენკო, კოლოტოვი (ნაზარენკო), ვერემეევი, ბლოხინი.

## სიგელები წარმატებისათვის

საქართველოს სპორტკომიტეტმა გუშინ საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი, რომლებმაც სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. ასეთივე ჯილდო მიიღო თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა ამ ფეხბურთელებისა და სხვა ახალგაზრდა მოთამაშეების მომზადებაში თვალსაჩინო წვლილისათვის.

## აფხაზეთის ალპინიადა

სოხუმი, 24 ივნისი. (საქინფორმის კორ.). კავკასიის მთებში, ავადჰარას ხეობაში გაიმართა აფხაზეთის პირველი ალპინიადა, რომელშიც მონაწილეობდა ორმოცამდე კაცი. იგი მოაწყეს აფხაზეთის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებმა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა. მათ ამ საქმეში ნააბეს ჩრდილოეთ კავკასიის თანრიგოსანი ინსტრუქტორები და მთამსვლელები. ამის შედეგად მომზადდა მთამსვლელთა ახალი რაზმი — 11 კაცი. ისინი დააჯილდოვდნენ „სსრ კავშირის მთამსვლელის“ ნიშნით. რამდენიმე კაცმა შეასრულა სპორტული თანრიგების ნორმატივები.

სულ უფრო იზრდება ინტერესი აფხაზეთის მთებისადმი. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში უკვე დიდი ხანია მუშაობს მთამსვლელთა სექცია, რომელშიც დაახლოებით 30 კაცია გაერთიანებული. გამოჩნდნენ ამ ვაჟკაცური და საინტერესო სახეობის სპორტის მოყვარულები „სოხუმხელსაწყოს“ ქარხანაში, ტყავის კომბინატში, რკინიგზის დეპოსა და სოხუმის სხვა საწარმოებში.

## მოკლედ

მძლეოსნობა. კიევში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელშიც ოქროს მედლებთან ერთად „თამაშდება მონრეალის საგზურები“. 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა კიეველმა ვალერი ბორზოვმა — 10,27 წამი, ქალებში — მოსკოველმა ლიუდმილა მასლაკოვამ — 11,37. ამავე დისტანციაზე თარჯებით გაიმარჯვა ლენინგრადელმა ტატიანა ანისიმოვამ — 12,97 წამი, ხოლო სიგრძეზე ხტომაში უძლიერესი იყო მოსკოველი ლიდია ალფეევა — 668 სმ. კიევში არ გამოდიან ოლიმპიური ჩემპიონები თბილისელი ვიქტორ სანეევი (სამმაგი ხტომა) და ლენინგრადელი ნადეჟდა ჩიჟოვა (ბირთვის კვრა). ორივეს უკვე მოპოვებული აქვს მონრეალის საგზური.

ველოსპორტი. ვილნიუსში გამართულ სსრ კავშირის პირველობაზე საგზატკეცილო რბოლაში გაიმარჯვა 22 წლის კუიბიშეველმა ალექსანდრე ავერინმა. 180 კილომეტრი მან დაფარა 4 საათში, 5 წუთსა და 14 წამში. მეორე იყო ლენინგრადელი სერგეი მოროზოვი, მესამე — საიდ ჰუსეინოვი (დუშანბე).

ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გაიმართა რუსთავში ადგილობრივ „მეტალურგსა“ და ავღანეთის ნაკრებს შორის. დიდი ანგარიშით 5:1 (3:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა.


თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

დამატებით იუწყება, რომ 1976-77 სასწავლო წლისათვის მიღების შესახებ 1976 წლის 11 ივნისის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ განცხადებაში I პუნქტი უნდა იკითხებოდეს:

I. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი: ფერწერა, გრაფიკა, პედაგოგიკა (ამ სპეციალობებზე ჩატარდება საერთო კონკურსი); ფერწერულ ნამუშევართა რესტავრაცია, ქანდაკება.




## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

25 ივნისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „გიორგი მდივანი“ და „კაპიტანი კოლხეთის ნაპირებიდან“, 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „წითელი და შავი“ (II სერია), ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.50 — განცხადებები, 17.55 — კინონარკვევი, 18.15 — ბავშვებისათვის — იყო და არა იყო რა, 18.25 — კონცერტი. ფერადი გამოსახულებით, 18.45 — კინონარკვევი, 19.00 — კომუნისტი, დრო, პრობლემები, 19.30 — მხატვრული ფილმი „შენთან და უშენოდ“ (ქართულ ენაზე), 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საერთაშორისო მიმოხილვა — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის საავტორო კონცერტი.

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „მარად ახალგაზრდა“, 19.15 — განცხადებები, 19.20 — ფერადი სატელევიზიო ფილმი „ასეთი მაღალი მთები“, 20.40 — კინონარკვევი, 20.50 — კონცერტი, 21.40 — მხატვრული ფილმი „საქმე მოხდა პენკოვოში“. დასასრულ — სატელევიზიო სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. ფერადი გამოსახულებით.

### რადიო

26 ივნისი

პირველი პროგრამით

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.00 — საუბარი „კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება“, 13.10 — ქართული კინოფილმების მუსიკა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.03 — ზ. ბოგუსლავსკაია. „... და ხვალ“. რადიოდადგმა, 15.03 — გ. ყანჩელი. მეორე სიმფონია, 15.30 — „მხიარულ ტალღაზე“, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. კონცერტი-საუბარი „გრიგის სიმღერები“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — მღერის ლ. ზიკინა, 19.00 — რადიოჟურნალი „ადამიანი და კანონი“, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — ჯ. ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ ნაწყვეტები პ. ამირანაშვილის მონაწილეობით, 20.20 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — მსუბუქი მუსიკა, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. რადიოკომპოზიცია „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 23.30 — ვ. მოცარტი. საფორტეპიანო კონცერტი.

### თეატრები

25 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კოპელია (მე-19 აბონ. მე-7 წარმ.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დასაწყისი; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კვაჭი კვაჭანტირაძე; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მხიარული მელოდიები; საქართველოს მინიატურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია (მეტეხის ტაძარში) — რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 13788

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 24